# 5

# ქართული ენა

## მოსწავლის რვეული

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

სახელი ____________________

გვარი ____________________

ქალაქი/სოფელი ____________________

სკოლა ____________________

კლასი ____________________

# შინაარსი

## დამატებითი სავარჯიშოები


არსებითი სახელი ... 6
ზედსართავი სახელი ... 11
ზმნა ... 12
ზმნიზედა ... 18


## გრამატიკა მართლწერა – 22 ტესტი


ტესტი 1 **არსებითი სახელი** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 19
ტესტი 2 **არსებითი სახელი** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 20
ტესტი 3 **არსებითი სახელი** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 21
ტესტი 4 **არსებითი სახელი** *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* ... 22
ტესტი 5 **არსებითი სახელი** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 24
ტესტი 6 **არსებითი სახელი, გვარების ბრუნება** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 25
ტესტი 7 **არსებითი სახელი** *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* ... 26
ტესტი 8 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 28
ტესტი 9 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 29
ტესტი 10 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 30
ტესტი 11 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 31
ტესტი 12 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 32
ტესტი 13 **ზმნა** *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* ... 33
ტესტი 14 **ზმნა** *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* ... 34


**შენიშვნა:** ტესტების პასუხები შეტანილია მასწავლებლის წიგნში.

ტესტი 15 ზმნა *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* 35
ტესტი 16 ზედსართავი სახელი *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* 36
ტესტი 17 ზედსართავი სახელი *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* 37
ტესტი 18 ზედსართავი სახელი *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* 38
ტესტი 19 ზედსართავი სახელი *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* 39
ტესტი 20 ზმნიზედა, სასხვისო და სათავისო მოქმედება *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* 40
ტესტი 21 უშუალო და შუალობითი მოქმედება, კუთვნილებითი ნაცვალსახელი *(განმავითარებელი შეფასებისათვის)* 41
ტესტი 22 მეტყველების ნაწილები *(შემაჯამებელი შეფასებისათვის)* 42

## წერითი მეტყველება – 6 დავალება

დავალება 1 როგორ დავწეროთ პერსონაჟის დახასიათება 43
დავალება 2 ანდაზის ილუსტრირება მოკლე ამბის საშუალებით 45
დავალება 3 დავწეროთ იგავი ნახატის მიხედვით 47
დავალება 4 შევქმნათ პერსონაჟის პორტრეტი 49
დავალება 5 მთხრობელის შეცვლა 51
დავალება 6 მთხრობელის შეცვლა 54

**შენიშვნა:** წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები შეტანილია მასწავლებლის წიგნში.

# არსებითი სახელი

**1.** დააჯგუფე არსებითი სახელები „ვინ“ და „რა“ ჯგუფების მიხედვით:

ზღვა, მთა, მხედარი, მეზღვაური, კაცი, მიწა, ნაფეხური, მოსაუბრე, წყალი, ცხენი, ყმაწვილი, თევზი, მწევარი, მებადური.

| ვინ? | რა? |
| --- | --- |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |
| ______________ | ______________ |

**2.** ხაზების ნაცვლად ჩაწერე გამოტოვებული კითხვითი სიტყვები (ვინ, რა):

ა) – ბაღში ___________ გალობს? – ჰკითხა ბიჭმა მამას და ხისკენ თითი გაიშვირა.

ბ) – წუხელ ___________ შეიწვინა საწოლში, ისევ ლეკვი? – იკითხა დედამ.

გ) – ___________ დასცვივდა ამდენი ბალანი?! – ბრაზობდა ბებია და ბებერ კატას თვალებით ეძებდა.

დ) – აივსო სახლი შენი ცხოველებით! ახლა ... დაადგი თვალი ბაზრობა-ზე? – მკითხა ჩემმა ძმამ.

ე) – ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
___________ უგალობ, ვისა?

– შენ გიგალობ, პატარავ,
დილა მშვიდობისა.

**3.** დააკვირდი ხაზგასმულ არსებით სახელებს და დაასრულე ზმნები:

ა) ნახატის მარჯვენა კუთხეში ხაზები ერთმანეთს კვეთ_______.

ბ) ეს ნახატები ბავშვის ხალისიან განწყობილებას გადმოგვცემ_______.

გ) გარკვეულ შემთხვევებში მთამსვლელები თოკს თვითონვე კვეთ_____.

დ) ლირიკულ ლექსებში პოეტები საკუთარ განცდებს გადმოგვცემ_____.

**4.** იპოვე წინადადებაში სამი არსებითი სახელი და შემდეგ დაახასიათე ნიმუშის მიხედვით:

„მებაღე გახარებული იყო, რადგან დილით ვარდი გაშლილიყო და ბულბული ისევ გალობდა“.

**ნიმუში**: „დღეს მერცხალი შემოფრინდა“.

მერცხალი – არსებითი სახელი, რა ჯგუფის, სულიერთა.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**5.** შეურჩიე ზმნებს შემდეგი არსებითი სახელები: **ღრუბელი, მდინარე, ნისლი, ცა, ნაკადული, ზღვა.**

____________ მოწანწკარებს,

____________ მოქუხს,

____________ ღელავს,

____________ გაიფანტა,

____________ გადაიყარა,

____________ მოიწმინდა.

**6.** იპოვე და გახაზე ათი არსებითი სახელი:

„უცებ რაღაც თავბრუდამხვევი ვარჯიშით გართულ ბიჭს მოეჩვენა, რომ გოგონამ ზურგი შეაქცია და წავიდა. მოწყენილი მიუახლოვდა მესერს. იმედი ჰქონდა, რომ გოგონა ბაღში შეყოვნდებოდა. ის მართლაც შეჩერდა კიბის საფეხურზე, შემდეგ კი კარისაკენ წავიდა“.

დაითვალე, რამდენი ზმნაა გამოყენებული ამ ნაწყვეტში? ____________

**7.** იპოვე ორი აბსტრაქტული არსებითი სახელი და ქვეშ ხაზი გაუსვი:

„ბიჭი არ შემცდარა, ეზოს მყუდროება დაირღვა... ამ პატარა, შავგვრემანი ბიჭის გარდა, ვერავინ გაუგო, არავინ გაიზიარა მისი ძაღლური სევდა“ *(ა. სულაკაური, „ბიჭი და ძაღლი“).*

**8.** ა) ჩაწერე მოცემული არსებითი სახელები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და კუმშვად სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

კასრი, ნომერი, ფორანი, მტკვარი, ფილაქანი, დუქანი, შოლტი, ალვირი, მკერდი, დერეფანი, შუშაბანდი, ტახტი, ფალავანი, ვეტერინარი, მეზობელი

ბ) ჩაწერე მოცემული არსებითი სახელები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და უკვეცელ სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

სალტე, ქუთუთო, ორმო, უფლება, სიჩუმე, ტალღა, დრო, მყუდროება, ალღო, რწმენა

**9.** დაახასიათე არსებითი სახელები – „ჭაბუკი“ და „მემკვიდრე“ გრამატიკული ჯგუფების მიხედვით:

# კრებითი არსებითი სახელები

**1.** იპოვე წინადადებებში კრებითი სახელები და ქვეშ ხაზი გაუსვი:

ა) მერცხალი გუნდს მალე დაეწია. ჯოგს ერთი ირემი გამოეყო. ხროვა გაქცეულ ნადირს დაედევნა.

ბ) ტურისტი თავის ჯგუფს შეუერთდა. სოლისტს მთელი გუნდი აჰყვა.

**2.** წაიკითხე წინადადებები და ხაზი გაუსვი მხოლოდ კრებით სახელს:

ა) ტომისა და ჯოს ოცნება სარდლობა იყო.

ბ) სარდლობას გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღო.

გ) შემოდგომაზე ზვრებში ყურძენი დამწიფდა.

დ) ბიჭმა ყურძენი მოწყვიტა და ხელისგულზე დაიდო.

**3.** დაიხმარე განმარტებითი ლექსიკონი და აღნიშნე, რისი კრებული შეიძლება იყოს: ადამიანთა თუ ცხოველთა?

- ერი
- რემა
- ჯარი
- დასი
- არვე

ამ კრებითი სახელების გამოყენებით შეადგინე ხუთი წინადადება.

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

**4.** შეადგინე ორი წინადადება სიტყვაზე – „გუნდი“; ერთში გამოხატე ადამიანთა კრებული, მეორეში – ფრინველთა.

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

# არსებითი სახელი – ფუძის კუმშვა და კვეცა

**1.** შეამოწმე:

ა) კუმშვადია თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი არსებითი სახელები?

ბატონი, აკვანი, სოფელი, კარავი, ვარდი, მარგალიტი, ქოჩორი, ქვესკნელი, ზესკნელი, გალავანი, ქონგური, შევარდენი, ირემი, სამკაული.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

ბ) კვეცადია თუ არა ჩამოთვლილი სახელები?

ია, ოქრო, მზე, ჩოხა, ღვთაება, სახე, დრო, ზღუდე, ბჭე, ზღვა, რქა, ზეცა.

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**2.** გამოიცანი და სწორად დაასრულე არსებითი სახელები:

ა) თქმულების მიხედვით, ფუტკარს ადამიანებისათვის იობის ტანჯვა-მოთმინების ამბ______ შეხსენება და დაჩაგრულის ნუგეში ევალება.

ბ) მოუსვენარი ფუტკარი მუდამ ზეცისა და ქვეყ______ სამსახურშია.

გ) სასახლის ყველა ფანჯ______ მინები შემკულია სარკის ფიგურების ვარაყით.

# ზედსართავი სახელი

**1.** ხუთ ძირეულ ზედსართავს სწორი ხაზი გაუსვი, ხუთ წარმოქმნილს – კლაკნილი:

შავი წვერ-ულვაში, ჭაღარა თმა, გონიერი მეფე, ხალისიანი კარისკაცი, სწრაფი ცხენი, უშიშარი მხედარი, ნათელი სახე, ბნელი ღამე, გმირული საქციელი, დღიური სამუშაო.

**2.** ა) დააჯგუფე ძირეული და წარმოქმნილი ზედსართავი სახელები: ახალი წელი, უცეცხლო თაფლი, კარგი ზღაპრები, პატარა და, საახალწლო მოთხრობა, გრძელი ტახტი, შავი თვალები, სახელოვანი ვაჟკაცი, ისტორიული ამბავი.

ძირეული: ____________________

წარმოქმნილი: ____________________

ბ) წარმოქმნილ ზედსართავ სახელებში გამოყავი სუფიქსი, პრეფიქს-სუფიქსი.

**3.** გაასწორე თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით:

ა) ქართველები თვალს ადევნებდნენ გოსტაშაბიშვილის გაცხარებულს ომს.

ბ) გოსტაშაბიშვილმა მოისმინა გაბედულის ვაჟკაცის პასუხი.

გ) ყველა ემადლიერებოდა გულადს მეომარს და მის ვაჟკაცურს საქციელს იწონებდა.

# ზმნის დრო

**1.** გადაიწერე და ზმნის ფორმის მიხედვით აღადგინე პირის ნაცვალსახე-ლები:

… თავისუფლად დადიოდნენ. … ღმერთს მიმართეს. … საგონებელში ჩაცვივიდნენ. … ღმერთი განარისხეს *(ა. წერეთლის იგავიდან)*.

**2.** აღუდგინე ზმნებს შესაბამისი პირისა და რიცხვის ნიშანი; ამოიწერე და აღნიშნე, რომელი დროის ფორმებია:

ცხვრები თავისუფლად ნავარდობდ…

მგლები ცხვრებს ზურგზე ახტებოდ… და ტყავს აძრობდ…

ცხვრებმა ღმერთები მოინახულ… და შველა სთხოვ…

**3.** ამოიწერე ზმნები, დაუსვი კითხვა და განსაზღვრე, რომელ დროში დგას:

ა) ცხვრებმა ძაღლი აითვალწუნეს, საყვედურებით აავსეს და წასვლა აიძულეს.

ბ) მგელი მიუახლოვდება ფარას, ხან ერთ ცხვარს დააჯდება ზურგზე, ხან მეორეს და ტყავს გააძრობს უმოწყალოდ!

გ) ვეფხვი წყალს ახტება, ტალღას კუდს ჰკრავს და ვირს შხეფებს ასხამს. ილვიძებს ვირი და ვეფხვს ტუქსავს.

დ) თურმე ის ქვა, რასაც კი რკინეულს მოხვდებოდა, ოქროდ აქცევდა.

ე) თქვენი ერთგული ძაღლი თქვენვე მოგიძულებიათ და გაგიგდიათ.



# ზმნა და ზმნისწინი

**1.** იპოვე და გაასწორე შეცდომები:

ა) გაკვეთილზე იგავის პერსონაჟები ავღწერეთ.

ბ) ძველი კოშკის თავზე დროშა ავლმართეთ.

**2.** გადაიყვანე ტექსტი აწმყოდან ჯერ მომავალ დროში, შემდეგ – წარსულში:

მეფე უწონებს ხელქვეითებს მოხერხებას და აქებს. ამით კარისკაცები კიდევ უფრო თამამდებიან და უფრო მეტად ჩაგრავენ ხალხს.

**3.** იპოვე და გაასწორე შეცდომა:

ა) მეფემ მსახური დაკისრებული მოვალეობისაგან გაანთავისუფლა.

ბ) მე გავნთავისუფლდი ერთი საპატიო მიზეზის გამო.

გ) გთხოვთ, გამანთავისუფლოთ ამ მოვალეობისაგან.

**4.** გადაიყვანე ტექსტი აწმყოდან ჯერ წარსულ დროში, შემდეგ მომავალში:

ხელმწიფე თავად ადგენს კანონებს და უდანაშაულოებს ათავისუფლებს.

---

---

---

---

**5.** დააკვირდი მიმართულებას და აღადგინე შესაძლებელი ზმნისწინი:

ქვევიდან ზევით ______ვიდა, ზევიდან ქვევით ______ვიდა, გარედან შიგნით ______ვიდა, შიგნიდან გარეთ ______ვიდა, აქედან იქით ______ ვიდა და იქ ______ვიდა, იქიდან აქეთ ______ვიდა და აქ ______ვიდა.

**6.** შეუწყვე ნაცვალსახელი და გამოიცანი, რომელი პირის ფორმებია?

ა) „გაუსინჯავად ნურაფერს იზამ, თორემ ბოლოს დაინანებ“.

---

ბ) „მისი შიშით ველარ დავდეგ და გამოვეცალე, ამიტომ მოვიწყინეო!“

---

გ) „გზა-კვალი ველარ გაიგნო, კლდეზე გადაიჭრა და გაიქცა“.

---

**7.** შეცვალე ხაზგასმული არსებითი სახელი შესაბამისი პირის ნაცვალსახელით:

ა) ცხოველები ნადირთა მეფეს შეხვდნენ. ცხოველები ვეფხვს მოწიწებით მიესალმნენ. ხელქვეითებმა მეფის დახმარება განიზრახეს. ცხოველებმა ვეფხვს ერთგულება დაუმტკიცეს.

---

---

---